მე-4 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში:

   „ დარდიანი ბაბალე ფეხს ძლივს მიითრევდა.“

   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი

2. რომელ წყვილშია სწორად დაწერილი ზმნა?

   ა) ბავშვები დაჯდნენ ბ) ბავშვები დასხდნენ გ) ბავშვები გააგდო

3. ტექსტში რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა <u>რა?</u>

   „ ადამიანებმა თავდაპირველად შექმნეს ნიჩბიანი გემები. მოგვიანებით მათ ქარიც მიეხმარა. საუკუნეების განმავლობაში ადამიანები მოძრავ იალქნებს ქმნიდნენ და ოკეანეებს ლახავდნენ.“

   ა) სამ სიტყვას ბ) ოთხ სიტყვას გ) ხუთ სიტყვას

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელია ხაზგასმული სიტყვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე?

   „ გედის <u>მშვენიერი</u> ბუმბული იპყრობდა ყველას ყურადღებას.“

   ა) ლამაზი ბ) გემრიელი გ) ლურჯი

5. როგორი სიტყვებია: მწარე - ტკბილი, მსხვილი - წვრილი, კი - არა?

   ა) ერთნაირი მნიშვნელობის ბ) საპირისპირო მნიშვნელობის

   გ) სხვადასხვა მნიშვნელობის

6. როგორი სიტყვებია: გარჯა - შრომა, საწყალი - საცოდავი, კი - დიახ?

   ა) ერთნაირი მნიშვნელობის ბ) საპირისპირო მნიშვნელობის გ) სხვადასხვა მნიშვნელობის

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ბედნიერი სოსე (ნაწყვეტი)

ქარი ჩადგა. არემარე ბურუსმა მოიცვა. ჰაერი თითქოს გათბა, ყური მოსტყდა, ბინდბუნდია.

სოსეს ხარები, თივით გამაძღარი, მხიარულად მიარიკინებენ ცარიელს, მსუბუქ ურემს, ბოსლისკენ მიეშურებიან.

სოსე, გრძელი, თბილი პალტოთი გამოწყობილი, ფეხდაფეხ მისდევს თავის მოზვრებს, თეთრი პურის ყუას ძმუძნის და თან გაოცების ღიმილი არ შორდება მის ტუჩებს.

„დასწყევლოს ღმერთმა, ძლივას კეთილი ადამიანი არ ვნახე! დაილოცა შენი მშობელი, ჰო და აი! რეებს არ მივუტან, რეებს დედაჩემს! სიხარულით ატირდება. მე და ჩემმა ღმერთმა! ნავთი, საპონი, ჩაი, შაქარი, წმინდა სანთელი, კაბა, ბაშმაკები და ჯიბეშიაც ორი მანათი!...

“ - ჰაი, ჰაი, რომ კარგი ახალწელიწადი გაუთენდება მშიერაძიანთ ოჯახსა! -

შეჰყვირა სოსემ, ერთი კიდეც შეიკუნტრუშა, ხარებს სახრე გადაჰკრა და ტკბილად შეჰღიღინა: „ახალწელს მივეგებები ლხინითა და ჩონგურითა, ლამაზ გოგოს გადვეხვევი სიამით და სურვილითა!“

7. დღის რომელ მონაკვეთზეა საუბარი 1-ლი აბზაცის მიხედვით?
   ა) დილაზე ბ) შუადღეზე გ) საღამოზე
8. წელიწადის რომელ დროს ხდება მოქმედება მოცემულ მონაკვეთში?
   ა) გაზაფხულზე ბ) ზაფხულში გ) ზამთარში
9. როგორი განწყობით ბრუნდება სოსე?
   ა) გაოცებულია ბ) დამწუხრებულია გ) შეშინებულია
10. რატომ არის სოსე გაოცებული?
   ა) ცარიელ ურემს რომ მიარიკინებს ბ) კეთილი ადამიანის გამო
   გ)რომ ხარები თივით არიან გამაძღარნი